# დაიჯესტი

22 – 28 თებერვალი 2021

TRC
ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
Terrorism Research Center

## ამერიკის შეერთებული შტატები

ფლორიდის საზღვაო ბაზაზე 2019 წლის 6 დეკემბერს მოკლული აშშ-ის სამი სამხედროს ოჯახები უჩივიან საუდის არაბეთს და აცხადებენ, რომ საუდის არაბეთის მთავრობას ჰქონდა ინფორმაცია მკვლელის რადიკალიზაციისა და ტერორისტულ ორგანიზაცია, ალ-კაიდასთან, კავშირის შესახებ.

ფლორიდაში, ქალაქ გეინსვილის, მაცხოვრებელ მოჰამედ სულიმანს ფედერალურმა სასამართლომ ბრალი დასდო ტერორისტული ორგანიზაცია, დაეშისთვის, მატერიალური მხარდაჭერის მცდელობაში.

მიჩიგანში, 25 წლის წლის ნეო-ნაცისტი ტერორისტი, ჯასტინ უოტკინსი, დააკავეს. იგი ყოფილი ლიდერია ნეო-ნაცისტური ჯგუფის, რომელიც აგიტაციას უწევს ძალადობას და რასობრივი ომისკენ მოუწოდებს საზოგადოებას. უოტკინსისა და მისი თანამოაზრეების მიზანი იყო მხოლოდ "თეთრებით" დაკომპლექტებული საზოგადოების შექმნა.

ამერიკის შეერთებული შტატების შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის განცხადების მიხედვით, საშინაო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით, დამატებით 1,8 მილიარდი დოლარი გამოიყოფა შტატებისა და ადგილობრივი იურისდიქციებისათვის გრანტის სახით.

## გაერთიანებული სამეფო

ბრიტანეთში მიმდინარეობს კონსულტაციები კონტრტერორისტულ კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანად. ახალი კანონი შეამზადებს სახალხო დაწესებულებებს ტერორისტული თავდასხმებისთვის, რაც გარემოებებს მეტად უსაფრთხოს გახდის. კონსულტაციების აღწერას შეგიძლიათ გაეცნოთ აქ.

ლონდონის მერმა ოთხშაბათს ახალი აპლიკაციის iREPORTit ჩაშვება გამოაცხადა, რომელიც ლონდონელებს გაუმარტივებს ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან დაკავშირებული საკითხების შესახებ პოლიციაში მარტივად, სწრაფად და ანონიმურად განცხადებას თავიანთი სმარტფონების დახმარებით.

სკოტლანდ იარდის კონტრტერორისტული სამსახურის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში 38 წლის მამაკაცი დააკავეს. დაკავებული პირს ბრალად ედება ძალადობრივი იდეოლოგიების შემცველი მასალების გამოქვეყნება და ტერორიზმთან დაკავშირებული პროპაგანდისტული შეტყობინებების გავრცელება.

## საფრანგეთი

ათობით ბავშვი ელოდება საფრანგეთში დაბრუნებას სირიის ალ-როჯის ბანაკიდან. ორი წლის წინ ისლამური სახელმწიფოს დამარცხების შემდეგ, საფრანგეთმა 35 ბავშვის რეპატრიაცია მოახდინა. ხელახალი რადიკალიზების პრევენციის მიზნით, საფრანგეთმა დედებს აუკრძალა დაბრუნება.

პარიზში არსებულმა ორგანიზაცია, The Financial Action Task Force (FATF) ბურკინა-ფასო, კაიმანის კუნძულები, მაროკო და სენეგალი ტერორიზმის პოტენციური დამფინანსებლების სიაში შეიყვანა. ორგანიზაციის განმარტებით, გადადგმული ნაბიჯი აღნიშნულ ქვეყნებში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ხელშესაწყობისთვისაა გადადგმული.

## გერმანია

სასამართლომ, აჰმად აბდულაზიზ აბდულას, რომელიც სხვაგვარად ცნობილია როგორც აბუ ვალა, 10 წლითა და 6 თვით პატიმრობა შეუფარდა. 37 წლის ერაყელი მიჩნეულია გერმანიაში დაეშის დე ფაქტო ლიდერად, რომელიც აქტიურად ახდენდა ახალგაზრდების რეკრუტირებას. აბუ ვალა 2016 წელს დააკავეს ოთხ სხვა ეჭვმიტანილთან ერთად.

გამოცემა Reuters-ის განცხადებით, ბერლინის სენატის შინაგან საქმეთა დეპარტამენტმა დაჯგუფება „ჯამაათ ბერლინი“, ასევე ცნობილი, როგორც „ბერლინის თავჰიდი“, აკრძალა. აღნიშნული ნაბიჯის შემდეგ, 25 თებერვალს, ბერლინსა და ბრანდერბურგში ხსენებული დაჯგუფების წინააღმდეგ სამხედრო სპეცოპერაციები ჩატარდა.

## თურქეთი

თურქეთის კონტრ-ტერორისტულმა პოლიციამ, დედაქალაქ ანკარაში, დაეშთან კავშირში ეჭვმიტანილი 14 პირი დააკავა.

თურქეთის სამხედრო ძალებმა ორშაბათს ქურთისტანის მშრომელთა პარტიის (PKK) წინააღმდეგ დაიწყო ოპერაცია სამხრეთ-აღმოსავლეთ მარდინის პროვინციაში. პრეს სამსახურის განცხადებაში ნათქვამია, რომ სამი ქალაქის 18 უბანში ჩატარდება სპეცოპერაცია, რის გამოც დაწესებულია კომენდანტის საათი. განცხადება ასევე განმარტავს, რომ ოპერაციის მიზანია მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ამ მიზნით იგეგმება PKK-ის ტერორისტების განეიტრალება, მათი საწყობების განადგურება და ეჭვმიტანილების დაკავება.

თურქეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, სულ მცირე 4 PPK-ის ტერორისტი გაანეიტრალეს სირიის ჩრდილოეთით, თურქეთის საზღვართან.

თურქეთის სახელმწიფო უსაფრთხოების ძალებმა ორი ტერორისტული თავშესაფარი გაანადგურეს. აღმოჩენილია 100 კილოგრამი ამონიუმის ნიტრატი, რომელიც ბომბის დასამზადებლად გამოიყენება. თავშესაფრებში ასევე აღმოაჩინეს გამათბობლები, საკვები და საცხოვრებლად საჭირო სხვა ნივთები. სახელმწიფო უწყების განცხადებაში ნახსენები არ ყოფილა რომელიმე კონკრეტული დაჯგუფება, რომელსაც ეკუთვნოდა ეს თავშესაფრები.

ანკარაში, საფრანგეთის საელჩოსთან, დააკავეს საფრანგეთის მოქალაქე სარა თალიბი, რომელსაც დაეშთან კავშირის გამო ინტერპოლი ეძებდა.

ანკარაში ალ-შაბააბის ტერორისტად მიჩნეული მამაკაცი დააკავეს, რომელიც კენიაში მოღვაწეობდა. უსაფრთხოების ძალებმა ასევე დააკავეს დაეშის წევრი, რომელიც ყოფილი ერაყელი სამხედრო იყო. ოპერაციისას ასევე გამოიხსნეს 7 წლის იეზიდი გოგონა, რომელიც ერაყიდან  დაკავებულმა ტერორისტმა გაიტაცა.

თურქეთის უშიშროების სამსახურებმა სტამბულში, დაეშის, წევრი დააკავა. მუჰამედ იაჰია ცდილობდა საპატრულო ბაზის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას. ეჭვმიტანილს დაკავებისას დაეშთან კავშირის დამადასტურებელი ვიზუალური ნივთმტკიცება აღმოაჩნდა.

## სირია

ქურდისტანის მუშათა პარტიის სირიულმა განშტოებამ სარაკეტო შეტევისას სირიის ეროვნული არმიის ორი ჯარისკაცი მოკლა და შვიდი დაჭრა.

ჰომსის უდაბნოში სირიის არმიასა და დაეშის წევრებს შორის ძალადობრივი შეტაკებების შედეგად ათობით ტერორისტი დაიღუპა.

სამი სამხედრო დაიღუპა, ოთხი კი დაშავდა ალ-მაიადინის უდაბნოში დაეშის მიერ დამონტაჟებული ნაღმის აფეთქებისას.

რუსეთის საჰაერო შეტევები სირიის უდაბნოში გრძელდება და 24 საათში 90მდე შეტევა განხორციელდა. ამას დაეში არ შეუფერხებია, ტერორისტებმა რეჟიმის 9 ჯარისკაცი მოკლეს ალეპოს მახლობლად.

დეირ ეზ-ზორის, ჰასაკასა და რაქქას პროვინციებში, ასევე მანჯიბის ტერიტორიაზე, რომელსაც სირიის დემოკრატიული ძალები(SDF) აკონტროლებს. ბოლო კვირების განმავლობაში გახშირდა დაეშთან დაკავშირებული პირების თავდასხმები მოქალაქეებსა და SDF-ის წევრებზე.

ხუთშაბათს, 25 თებერვალს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საჰაერო იერიში მიიტანა სირიაში ირანისაგან მხარდაჭერილი სამხედრო დაჯგუფებების ლოკაციებზე. აღნიშნული სპეცოპერაცია ამერიკის შეერთებული შტატების პირველ სამხედრო სპეცოპერაციას წარმოადგენს ბაიდენის ადმინისტრაციის ფარგლებში.

## პაკისტანი

პოლიციის განცხადებით ჩრდილოეთ ვაზირისტანში ტერორისტებმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს არასამთავრობო ორგანიზაციაში დასაქმებული 4 ქალი.

ქალაქ მირალში პაკისტანის უსაფრთხოების ძალებმა მოკლეს თალიბანის მეთაური - ჰასსან ალიას საჯნა, რომელიც ორგანიზატორია ჩრდილოეთ ვაზირისტანში მუშებზე განხორციელებული თავდასხმის და ამასთანავე არაერთ თავდასხმაში იყო ჩართული.

## უკრაინა

უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭომ პარტია “ოპოზიციური პლატფორმა სიცოცხლისთვის” პრო-რუსულად განწყობილ ლიდერს, ვიქტორ მედვედჩუკს, სანქციები დაუწესა. უკრაინის კანონმდებლობის მიხედვით, უკრაინის მოქალაქეების წინააღმდეგ სანქციების დაწესება მხოლოდ ტერორიზმის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშია ნებადართული. საბჭოს განცხადებით მედვედჩუკს ბრალი ედება ტერორიზმის დაფინანსებაში.

## ნიგერია

კაცინას ერთ-ერთ სოფელში ტერორისტებმა მოკლეს 6, ხოლო გაიტაცეს 19 ადამიანი.

ბორნოს ოლქის ქალაქ მარტეში ისლამური სახელმწიფოს დასავლეთ აფრიკის პროვინციამ ხელში ჩაიგდო სამხედრო ფორმირებები და განალაგა მებრძოლები სტრატეგიულ ადგილებში.

ნიგერიის ჯარებმა ქალაქ მარტეზე კონტროლი აღადგინეს. ტერორისტებთან დაპირისპირებას სულ მცირე შვიდი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ნიგერიისა და ნიგერის საზღვარზე მდებარე სოფელ სუნავაში ბოკო ჰარამის წევრებმა მოკლეს ისლამური სახელმწიფოს დასავლეთ აფრიკის პროვინციის(ISWAP) ამბოხებულები. შეტაკება მას შემდეგ დაიწყო, რაც ISWAP-მა გაიტაცა ბოკო ჰარამთან კავშირების მქონე ქალები. საპასუხოდ ბოკო ჰარამი თავს დაესხა ISWAP-ის ბაზას.

ბოკო ჰარამმა, 25 თებერვალს გავრცელებულ პროპაგანდისტულ ვიდეოში პასუხისმგებლობა აიღო მაიდუგურზე განხორციელებულ სარაკეტო თავდასხმაზე, რომელსაც 16 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

## კოლუმბია

კოლუმბიის მემარჯვენე ყოფილმა პრეზიდენტმა ალვარო ურიბემ განაცხადა, რომ ადამიანთა უფლებების დამცველის (Human Rights Watch) დირექტორი, ხოსემიგელ ვივანკო ამერიკაში კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალების (FARC) აქტივისტია. ვივანკომ განაცხადა, რომ ურიბე და მისი პარტია ცრუ ინფორმაციას ავრცელებენ და ცდილობენ დაფარონ სიმართლე იმ სამოქალაქო პირების მკვლელობასთან დაკავშირებით ვინც ურიბეს მმართველობისას ბრძოლაში დაღუპულ პარტიზანებად გამოაცხადეს.

## ერაყი

ორშაბათს უსაფრთხოების შეიარაღებულმა ძალებმა ნინევიაში დაეშის ერთ-ერთი ცნობილი ლიდერი დააკავეს. წყაროს განცხადებით დაკავებული ნატიქ ალ-მატუტი მოსულის სამხრეთ რეგიონში დაეშის ყველაზე ცნობილი ლიდერი იყო.

გლობალური კოალიციის მიერ განხორციელებულ საჰაერო შეტევების შედეგად მოკლულია დაეშის 7 ტერორისტი. პერიმეტრის გაჩხრეკისას იპოვეს ორი შაჰიდის ქამარი, ავტომატები და მსუბუქი შეიარაღება.

ერაყის ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველი ყასიმ ალ-არაჯი ერაყში ნატოს მისიის მეთაურს, პიერ ოლსენს შეხვდა და განაცხადა, რომ ერაყი ითანამშრომლებს ნატოს ძალებთან დაეშის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ერაყის უსაფრთხოების ძალებმა ოთხშაბათს მუსოლში დაეშთან დაკავშირებული სამი ქალი დააკავა, როდესაც ისინი დაეშის მებრძოლების ოჯახებისთვის გადასაცემად გამოგზავნილ თანხებს იღებდნენ. მათ აღიარეს ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირი.

ერაყის პრემიერ მინისტრმა აშშ-ს პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მათი ორმხრივი ურთიერთობა და დაეშის წინააღმდეგ ბრძოლის კოოპერაცია განიხილეს.

## ავღანეთი

კატარის დედაქალაქ დოჰაში განახლდა მოლაპარაკებები თალიბანსა და ავღანეთის მთავრობას შორის. გასულ კვირას თალიბანმა ღია წერილით აშშ-ს შეთანხმების სრულად განხორციელებისკენ მოუწოდა.

ნანგარჰარის პროვინციაში დააკავეს დაეშის დაზვერვის წევრი სხვა ექვს ტერორისტთან ერთად. მათ თან ჰქონდათ სხვადასხვა ტიპის იარაღი.

ავღანეთის ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ქაბულში განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმებში გამოყენებულია სპეციალური პაკისტანური ბურღები. მისი თქმით, არსებობს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ თალიბანმა მიიღო სპეციალური ბურღები, რომლებიც დამონტაჟდა ტოიოტას მარკის მანქანებში, რის შემდგომაც ეს მანქანები გზის პირას ფეთქდება. ვიცე-პრეზიდენტმა მოუწოდა პოლიციას ყურადღებით გაჩხრიკონ ტოიოტას მარკის მანქანები.

ჰელმანდში თალიბანის რვა წევრი დაიღუპა ავღანეთის უსაფრთხოების ძალების საჰაერო დარტყმების შედეგად.

კანდაჰარში უსაფრთხოების ძალებმა ოპერაციისას თალიბანის 42 წევრი მოკლეს, მათ შორის რამდენიმე პაკისტანელი. ოპერაციაში რამდენიმე ასეული სამხედრო მონაწილეობდა.

### ფილიპინები

უსაფრთხოების ძალებმა აბუ-საიაფის მეთაურებთან დაკავშირებული სულუს პროვინციაში 9 ქალი დააკავეს. მათი საცხოვრებელი სახლებიდან ამოღებულია ბომბის ნაწილები, ფეთქებადი ფხვნილი და ა.შ. საგულისხმოა, რომ სულის პროვინცია აბუ-საიაფის დასაყრდენს წარმოადგენს და ხშირია გატაცების, თავის მოკვეთისა და დაბომბვის შემთხვევები.

### რუსეთი

რუსეთის საჰაერო ძალებმა სირიაში, ალეპოს, ჰამასა და რაქქას პროვინციების პირას მდებარე ტერიტორიაზე დაეშის 21 წევრი მოკლეს.

### კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა

შეიარაღებულმა პირებმა გაეროს კოლონაზე თავდასხმისას იტალიის ელჩი, ლუკა ათანასიო და კიდევ ორი პირი მოკლეს.

### ლიბანი

ბეირუთში სამხედრო სასამართლოს ოფიცერმა ტრიპოლის ძალადობრივ საპროტესტო გამოსვლებში მონაწილე 35 პირს ბრალი ტერორიზმის მუხლით წაუყენა.

### სომალი

სომალის ეროვნულმა არმიამ სპეცოპერაცია ჩაატარა ქვედა შაბელის რეგიონში, რაც ალ-შაბაბის 70 მებრძოლის, მათ შორის ორი უფროსი მეთაურის მოკვლით დასრულდა.

ამერიკის შეერთებული შტატების საავიაციო ძალებმა წერტილოვანი საჰაერო დარტყმები

განახორციელა ქვემო ჯუბას რეგიონში, სამხედრო დაჯგუფება, ალ-შაბააბის საწვრთნელ ბაზებზე. სომალის ეროვნული არმიის რადიოს განცხადებით, სპეცოპერაციის შედეგად ალ-შაბააბის 15 მებრძოლი დაიღუპა.

## ინდოეთი

ორი ამოუცნობი ტერორისტი დაიღუპა ჯამუ და ქაშმირის ტერიტორიაზე უსაფრთხოების ძალებთან ორმხრივ სროლაში.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოში ინდოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის განცხადებით, პაკისტანი უამრავი ტერორისტული გაერთიანების მფარველია და ალ კაიდას ტერორისტის, აჰმედ ომარ საედის გათავისუფლება ნათელი მაგალითია პაკისტანის მთავრობასა და ტერორისტებს შორის კავშირის.

## ირანი

თეირანში პოლიციამ დროულად მოახერხა ტერორისტის იდენტიფიცირება და დაკავება, რომელსაც სუიციდური ჟილეტი ეცვა. როგორც პოლიციის უფროსმა განაცხადა, ეჭვმიტანილი 30-40 წუთით ადრე დააკავეს, ვიდრე ის ასაფეთქებელ მოწყობილობას მოქმედებასი მოიყვანდა.

## ეგვიპტე

ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან, ენტონი ბლინკენთან, ისაუბრა. დიპლომატებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები რეგიონალურ საკითხებთან და მიმდინარე კონტრ-ტერორისტულ კოოპერაციასთან დაკავშირებით.

## ვენესუელა

ოთხშაბათს, 24 თებერვალს, ვენესუელაში დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის, მეთიუ ჰითის, სასამართლო პროცესი. 39 წლის მამაკაცი ბრალდებულია ტერორიზმსა და იარაღის ტრეფიკინგში. მეთიუ ჰითის ადვოკატის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ წაყენებული ბრალდებები აბსურდულია.

## ბოსნია და ჰერცოგოვინა

ბოსნია და ჰერცოგოვინას უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ბოსნიელ მუსლიმ მამაკაცს, ჯასმინ კესეროვიჩს, 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლომ კესეროვიჩი სირიაში დაეშის მხარეს ბრძოლაში დამნაშავედ სცნო.